ტვინების ბრძოლა
ფინალი | შემოდგომა 2024
U8 (VI, VII, VIII კლასები)

1. 5 ქულიანი შეკითხვა
აზიის ზოგიერთ ქვეყანაში **სკოლები იქსზეა**, რის გამოც მოსწავლეები **სკოლიდან ვერ იპარებიან**. **მარსზე** იქსი **აღმოაჩინეს**, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ **დასახლების** თეორიული **შანსი** არსებობს. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: წყალი
კომენტარი: წყალდიდობის დროს ბანგლადეშის ზოგიერთი სკოლა პრაქტიკულად წყალზეა მოთავსებული, რის გამოც ბავშვები იქიდან ვერ გაიპარებიან. პლანეტაზე ცოცხალი ორგანიზმის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი წყალია.
წყარო:
https://www.space.com/the-universe/mars/oceans-worth-of-water-may-be-buried-within-mars-but-can-we-get-to-it

2. 6 ქულიანი შეკითხვა
ინდიელთა ერთი ტომის რწმენით, ადამიანებს **კრიტიკულ მომენტებში** მათთვის მნიშვნელოვანი რომელიმე **ცხოველი ეხმარებოდა**. ამ ფაქტზე საუბრისას ერთმა ავტორმა **ცხოველები შეადარა პატრონებს**. წინა წინადადების **ერთ სიტყვაში** ჩვენ **ორი ასო გამოვტოვეთ**. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: პატრონუსებს
ჩათვლა: პატრონუსი
კომენტარი: ინდიელების რწმენით, გასაჭირში ადამიანებს მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ცხოველი ეხმარებოდა, რაც ძალიან ჰგავს პატრონუსის შელოცვას ჰარი პოტერის სამყაროში. თავისი პატრონუსით ჰარიმ დემენტორების მოგერიება შეძლო.
https://www.legendsofamerica.com/na-totems/
https://harrypotter.fandom.com/wiki/Patronus_Charm

3. 7 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
დაასახელეთ პროცესი, რომლის დროსაც გამოიყენებოდა აღნიშნული ნივთი.

პასუხი: მშობიარობა
კომენტარი: სიმბოლურია, რომ ახალშობილის ჭიპლარის გადასაჭრელად განკუთვნილ მაკრატელს წეროს ფორმა აქვს. ზღაპრებსა და ანიმაციებში ახალშობილი სწორედ წეროს მოჰყავს ხოლმე.
https://www.liveauctioneers.com/price-result/2-antique-stork-umbilical-cord-clamps/

4. 5 ქულიანი შეკითხვა
ცოტა ხნის წინ გამოჩნდა ვიდეო სათაურით: "**16 მიზეზი,** თუ რატომ უნდა იყიდოთ **ახალი იქსი**". ანიმაციაში "**ზოოტოპია**" მთავარი პერსონაჟს აქვს იქსი, რომელსაც **მოკბეჩილი სტაფილო** ახატია. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: აიფონი
კომენტარი: ცოტა ხნის წინ გამოვიდა უახლესი აიფონ 16, რასაც სიმბოლურად მიეძღვნა ვიდეო, რომელიც აღნიშნავს იმ 16 მიზეზს, რის გამოც ახალი აიფონის ყიდვა ღირს. "ზოოტოპიას" მთავარი პერსონაჟი კურდღელია, რის გამოც მის აიფონს არა მოკბეჩილი ვაშლი, არამედ მოკბეჩილი სტაფილო ახატია.

5. 6 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა
North East West South Past And Present Event Report]

ერთი ვერსიით, **იქსი იშიფრება**, როგორც თქვენთვის დარიგებული **ფრაზა**. დაწერეთ **ინგლისური სიტყვა**, რომელიც იქსით შევცვალეთ.

პასუხი: newspaper
კომენტარი: თუ სიტყვების პირველ ასოებს შეაერთებთ, newspaper-ს მიიღებთ. თავის მხრივ, გაზეთების ფუნქციაც ისაა, რომ მიმდინარე ამბები გააცნოს მკითხველს.
წყარო: https://brainly.ph/question/8161109

6. 7 ქულიანი შეკითხვა
ცნობილ **კრიმინალურ** დაჯგუფებას, **კუ კლუქს კლანს**, ქართულ პრესაში ხშირად იხსენიებენ, როგორც **სამ იქსს**. ერთ ნაწარმოებში **ბოროტმოქმედის ამოსაცნობად** იყენებენ საგნებს, რომელზეც **იქსი რამდენჯერმეა გამოსახული**. დაწერეთ ამ ბოროტმოქმედის **სახელი** და **გვარი**.

პასუხი: კასიუს კოლჰაუნი
კომენტარი: კუ კლუქს კლანის წევრები სამოსზე სამ ინგლისურ კ-ს იწერდნენ ხოლმე, რის გამოც ქართულ პრესაში მათ ხშირად სამი ასო კ-თი მოიხსენიებენ. ტყვიაზე აღმოჩენილი ინიციალები კაპიტან კასიუს კოლჰაუნს ეკუთვნოდა, რომელიც ნაწარმოებ "უთავო მხედრის" ანტაგონისტია.
https://1tv.ge/news/ku-kluqs-klanis-ert-erti-lideri-92-wlis-asakshi-cikheshi-gardaicvala/
https://ka.wikipedia.org/wiki/უთავო_მხედარი

7. 5 ქულიანი შეკითხვა
რაც არ უნდა უცნაური იყოს, ადამიანებმა **დრაკონების** შესახებ ლეგენდები **იქამდე** შეთხზეს, სანამ **იქსების ნამარხებს** აღმოაჩენდნენ. თუ **ინტერნეტ-კავშირს** დაკარგავთ, თქვენ **დაინახავთ იქსს**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: დინოზავრი
კომენტარი: იმის მიუხედავად, რომ დინოზავრები და დრაკონები ერთმანეთს გვანან, ადამიანებმა გამოგონილი არსებების შესახებ ფიქრი იმაზე ადრე დაიწყეს, ვიდრე ნამდვილ დინოზავრებს აღმოაჩენდნენ. გუგლში ინტერნეტის გარეშე შესვლის შემთხვევაში მორბენალი დინოზავრით თამაში შეგიძლიათ.
წყარო:
https://www.reddit.com/r/Showerthoughts/comments/1c24dzx/we_came_up_with_dragons_over_a_millennium_before/?rdt=37397

8. 6 ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]

კილიან მბაპემ თავის პირველ ელ-კლასიკოში ერთი **არასასიამოვნო რეკორდი** დაამყარა, რის გამოც ხუმრობით მოიხსენიეს, როგორც **იქსის მეფე**. ფეხბურთში **VAR-ის** [ვარის] დანერგვამ იქსთან დაკავშირებული **შეცდომები** პრაქტიკულად სრულად **აღმოფხვრა**. დაწერეთ იქსი.

პასუხი: თამაშგარე
კომენტარი: კილიან მბაპე რვაჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში, რითაც პირადი რეკორდი დაამყარა. VAR-ის წყალობით მილიმეტრების სიზუსტითაა შესაძლებელი თამაშგარის ხაზის გავლება.
წყარო: ბმული ბმული

9. 7 ქულიანი შეკითხვა

ერთი ისტორიკოსი **ხატოვნად** აღწერს შემთხვევას, როცა ინგლისის **მეფე** ქვეითი **ჯარისკაცებისა** და **კავალერიის გაწირვის** ხარჯზე **გადაურჩა ამას**. წინა წინადადების ერთ სიტყვაში ჩვენ **რამდენიმე ასო გამოვტოვეთ**. აღადგინეთ ეს სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: შამათს
კომენტარი: მეფემ გაწირა ქვეითები და კავალერია, რათა გამოუვალი მდგომარეობიდან გადარჩენილიყო. ისტორიკოსის თქმით, ინგლისის მეფე პაიკებისა და მხედრების ხარჯზე გადაურჩა შამათს. შამათი საჭადრაკო მდგომარეობაა, როდესაც მეფეს აღარ შეუძლია მოწინააღმდეგისგან თავდაცვა.
https://en.wikipedia.org/wiki/The_Story_of_Marie_Powell:_Wife_to_Mr._Milton
https://ka.wikipedia.org/wiki/შამათი

10. 5 ქულიანი შეკითხვა
ტაქტიკის აღწერაში, რომლის მიხედვითაც **იქსი** სხვა **ფიგურების დასაშინებლად** გამოიყენება, ნახსენებია **ასეთი იქსი**. ერთი ვერსიით, **ევროპული** წარმოშობის ავტორისთვის "**ასეთი იქსის**" **ინსპირაცია ამერიკა-მექსიკის ომში** მონაწილეობა იყო. დაწერეთ **ორი სიტყვა**, რომლებიც **შევცვალეთ** სიტყვებით "ასეთი იქსი".

პასუხი: უთავო მხედარი
კომენტარი: ამ საჭადრაკო ტაქტიკის მიხედვით, მხედარი ხშირად ემუქრება სხვა ფიგურებს. ამ ტაქტიკის აღწერისას ნახსენებია შემზარავი ვიზუალის მქონე უთავო მხედარი. მაინ რიდი, წიგნის მთავარი პერსონაჟის მსგავსად, ირლანდიური წარმოშობისაა, ხოლო რომანში მოქმედება ტეხასის შტატში ვითარდება.
https://ru.wikipedia.org/wiki/Гамбит_Хэллоуин
https://ka.wikipedia.org/wiki/ტომას_მაინ_რიდი

11. 6 ქულიანი შეკითხვა
შუა საუკუნეებში **სწავლა-განათლება** ზოგჯერ **ნეგატიურად** აღიქმებოდა, რის გამოც **იქსი** მიიჩნეოდა **ბოროტ ფრინველად**. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ იქსი **ღამის ფრინველია**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ბუ
კომენტარი: ბუ სიბრძნის სიმბოლოა. შუა საუკუნეებში კი ეს ფრინველი ნეგატიურად აღიქმებოდა.
წყარო: https://www.dailyartmagazine.com/hieronymus-boschs-paintings-and-his-owls/

12. 7 ქულიანი შეკითხვა
ერთ სერიალში ნათქვამია, რომ **ეს ქვეყანა** არა მხოლოდ **ტიტებით** და **წისქვილებით**, არამედ მე-17 საუკუნის **მხატვრებითაც** არის ცნობილი. ამ ქვეყნის დროშაზე სამ ფერს: **წითელს**, **თეთრსა** და **ლურჯს** ვხვდებით, თუმცა ეროვნული ფერი მაინც **ნარინჯისფერია**. დაასახელეთ ეს ქვეყანა.

პასუხი: ნიდერლანდები
ჩათვლა: ჰოლანდია
კომენტარი: ნიდერლანდები ყველასთვის ცნობილია ველოსიპედებით, ხიდებით, ტიტებითა და წისქვილებით, თუმცა მე-17 საუკუნეში მის ტერიტორიაზე არაერთი გამორჩეული მხატვარი

მოღვაწეობდა, როგორებიც არიან რემბრანდტი და ვერმეერი. ნიდერლანდების ეროვნული ფერი ნარინჯისფერია, თუმცა ამ ფერს მათ დროშაზე ვერ შევხვდებით.
წყარო: Carmen Sandiego S1E5

13. 5 ქულიანი შეკითხვა
ლიონებერგელმა ემილიმ, რომელიც დედას უმტკიცებდა **მწვანილის სიყვარულს**, გადაწყვიტა **იქსის ჭამა**, თუმცა **ენა დაეჩხვლიტა**. იქსები **სახლებში** ჩნდება **დეკემბრის ბოლოს**. დაასახელეთ იქსი **ორი სიტყვით**.

პასუხი: ნაძვის ხე
კომენტარი: იმის დასამტკიცებლად, რომ მწვანილი უყვარდა, ემილი მარადმწვანე ნაძვს მიადგა, თუმცა წიწვებმა ენა დაუჩხვლიტა. დეკემბრის ბოლოს, ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, ყველა ოჯახში დგამენ ნაძვის ხეს.
წყარო: ასტრიდ ლინდგრენი "ემილის თავგადასავალი"

14. 6 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

ავსტრალიაში მდებარე ამ ადგილას **გადაიღეს** სერიალი "**ვარსკვლავები სნიკერსზე**". სნიკერსი **რიგით მეოთხეა**. დაწერეთ სიტყვა, რომელიც ჩვენ **სნიკერსით შევცვალეთ**.

პასუხი: მარსი
კომენტარი: ავსტრალიაში მდებარე ეს ადგილი მართლაც წააგავს მარსის რელიეფს. შეკითხვის ტექსტში შოკოლადის ერთი ბრენდი (მარსი) შევცვალეთ მეორით (სნიკერსი).
წყარო:
https://adelaideaz.com/articles/coober-pedy--in-south-australia-outback--stars-as-mars-with-stars-in-2023-american-reality-tv-streaming-show

15. 7 ქულიანი შეკითხვა

გირჩევთ ჩაიწეროთ.

ერთი ავტორი თავის მოთხრობაში წერს **ათასობით დამნაშავეზე**, რომლებიც **ნავებით** ტაუერში **მიყავდათ**, საიდანაც ისინი **ველარ გამოაღწევდნენ**. ამ მომენტში, ავტორი მდინარე **თემზას** ადარებს **სანძუს**. სტატიაში **სანძუს** შესახებ ასევე **ნახსენებია იქსი**. აღადგინეთ სიტყვა, რომელიც შეკითხვის ტექსტში **ორი ასოთი შევამოკლეთ**.

პასუხი: სტიქსი

კომენტარი: მდინარე თემზაზე ნავებში მყოფი დამნაშავეები ტაუერში მიდიოდნენ, სადაც მათ სიკვდილი ელოდათ. იაპონელი ავტორი თემზას ადარებს სანძუს, რომელიც სტიქსის იაპონური ვერსიაა. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, მიცვალებულები მდინარე სტიქსის მეშვეობით ხვდებოდნენ საიქიოში.